

# სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის 2019 წლის ანგარიში

## **ინფრასტრუქტურული განახლება**

- ❖ 2019 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთში 1565 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. ღირებულებამ 400 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.
- ❖ მათ შორის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 1061 პროექტი განხორციელდა, რომლიც თავად მოსახლეობამ სოფლის კრებებზე აირჩია.
- ❖ დაიგო და რეაბილიტირდა 250 კმ გზა, ღირებულებამ 173,7 მილიონი ლარი შეადგინა.
- ❖ შენდება 12 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7 ხიდს, პროექტების ჯამური ღირებულება 23,4 მილიონი ლარია
- ❖ წყალმომარაგების, წყალარინების და გამწმენდი ნაგებობების მასშტაბური პროექტები ხორციელდება ზუგდიდში, ფოთში, მესტიაში, აბაშაში, ჯვარსა და ანაკლიაში. განხორციელდა 5 და მიმდინარეობს 8 პროექტი.
- ❖ ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდა 15 ობიექტზე. ღირებულება - 8.7 მილიონი ლარია
- ❖ სამელიორაციო სამუშაოები კუთხით, გაიწმინდა და მოწესრიგდა 102 კილომეტრი სადრენაჟე არხი
- ❖ მრავალბინი საცხოვრებელი ეზოების და ფასადების კეთილმოწყობის კუთხით განხორციელდა 10 პროექტი, დასრულდა 8 სკვერისა და პარკის მოწყობა, ამჟამად მიმდინარეობს 1 პროექტი, გარე განათება მოეწყო 7 კილომეტრზე მეტ მონაკვეთზე
- ❖ სტიქიის პრევენციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა - 38 პროექტი,
- ❖ სტიქიის ლიკვიდაციის პროგრამის ფარგლებში დასრულდა 61 და მიმდინარეობს 7 ობიექტის რეაბილიტაცია-მშენებლობა
- ❖ შენდება იუსტიციის სახლი აბაშაში და საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი ხობში
- ❖ მესტიაში და წალენჯიხაში მიმდინარეობს საპატრულო პოლიციის შენობების მშენებლობა

- ❖ ზუგდიდში გაიხსნა რეგიონალური სახანძრო-სამაშველო სამსახურის ახალი შენობა
- ❖ ამჟამად სახანძრო-სამაშველო ბრიგადებისთვის ცენტრების მშენებლობა ანაკლიასა და მარტვილში მიმდინარეობს.
- ❖ 2019 წელს გაზიფიცირდა 56 სოფელი. გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში.
- ❖ მესტიის მუნიციპალიტეტის უშუქოდ დარჩენილ სოფლებს - ჰემკილსა და ხალდეს ელექტროენერგია მიეწოდა.

### **ჯანდაცვა და სოციალური პირობების გაუმჯობესება**

- ❖ დასრულდა 2 და მიმდინარეობს 24 ამბულატორიის მშენებლობა, რეაბილიტირდა 23 ამბულატორია
- ❖ ზუგდიდში მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ 26 სოციალურად დაუცველ ოჯახს ახალი სახლი აუშენდა.
- ❖ აშენდა გადაუდებელი დახმარების ცენტრები აბაშასა და მარტვილში, მიმდინარეობს კიდევ 7 ცენტრის მშენებლობა
- ❖ მუნიციპალიტეტებმა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების ფარგლებში 30 578 ბენეფიციარი 9 მილიონამდე ლარით დააფინანსეს.

### **დევენილების მხარდაჭერა**

- ❖ უახლოეს პერიოდში ბინები გადაეცემა 360 დევენილ ოჯახს, ზუგდიდში დასრულდა 3 კორპუსის მშენებლობა.
- ❖ მიმდინარეობს დამატებით 5 კორპუსის მშენებლობა.

### **განათლების ხელშეწყობა**

- ❖ დასრულდა 3 და მიმდინარეობს 6 საბავშვო ბაღის მშენებლობა
- ❖ სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 95 საჯარო სკოლას, რისთვისაც 5 მილიონამდე ლარი დაიხარჯა
- ❖ ამჟამად მიმდინარეობს 9 საჯარო სკოლის მშენებლობა.

### **საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება**

- ❖ 2019 წელიდან დაიწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება.
- ❖ ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა შეიძინა 15 ახალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ადაპტირებული ავტობუსი.
- ❖ 2020 წელს ზუგდიდს დამატებით 25, ფოთს კი 10 ახალი ავტობუსი ეყოლება

### **კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია**

ფონდ ქართუს დაფინანსებით:

- ❖ შენდება ზუგდიდის თეატრი,
  - ❖ რეაბილიტაცია უტარდება სენაკის დრამატულ თეატრს,
  - ❖ მიმდინარეობს ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია სოფელ ხიბულაში,
  - ❖ რეაბილიტაცია უტარდება მესტიის მუნიციპალიტეტში კოშკებს და მაჩუბებს,
  - ❖ მიმდინარეობს ფოთის თეატრის რეაბილიტაცია.
- 
- ❖ სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ზუგდიდის ისტორიულ ბოტანიკურ ბაღს,
  - ❖ მიმდინარეობს ნოქალაქევის კომპლექსის რეაბილიტაციის და მუზეუმის სამშენებლო სამუშაოები,
  - ❖ მიმდინარეობს ზვიად გამსახურდიას სახელობის ბიბლიოთეკისა და ახალგაზარდული ცენტრის საპროექტო სამუშაოები.

### **სპორტული ობიექტების განახლება**

- ❖ დაიწყო ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის მშენებლობის მეორე ეტაპი და დასრულდა ფოთის სტადიონის მშენებლობის პირველი ეტაპის სამუშაოები,
- ❖ მუნიციპალიტეტებში მოეწყო. 14 სპორტული მოედანი, შენდება საცურაო აუზი და სპორტული კომპლექსი ფოთში.

### **ტურიზმის განვითარება**

- ❖ რეგიონში ფუნქციონირებს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO)
- ❖ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინიციატივით ჩატარდა და დაფუძნდა კოლხური ღვინის ფესტივალი,
- ❖ მარტვილის კანიონის ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა.

- ❖ 2019 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, 2000 შესაწამლი აპარატი გადაეცა ფერმერთა ჯგუფებს,
- ❖ შეღავათაინი აგრო კრედიტის ფარგლებში დაფინანსდა 48 პროექტი,
- ❖ პროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში დაფინანსდა ხეხილის 6 ბაღის გაშენებნა,
- ❖ დაფინანსდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის 2 პროექტი,
- ❖ ზუგდიდში, სოფელ კოკში აშენდა თხილის საშრობი და სასაწყობე მეურნეობა,
- ❖ სურსათის ეროვნული სააგენტოს ახალი ოფისები გაიხსნა მესტიაში, ფოთსა და აბაშაში,
- ❖ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო- და მცირე მეწარმეობის კომპონენტის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში 5 სასტუმრო დაფინანსდა.